განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

რაინდი როდონაია

წევრ(ებ)ი:

ნიკა უთალიშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	219986629

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტოინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქ. ზუგდიდი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქუჩა N157
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Zugdidi8@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N344185, 23/03/2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის N344185 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) და ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განახორციელება სსიპ-ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლის დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი). წარმოების ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
270	**231**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა გაეცნო და დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სასურველია სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მისია და ხედვა ზუსტად იყოს შინაარსობრივად თანხვედრაში სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილ მისიასა და ხედვასთან
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი შედგება 16 წევრისგან, რომელთაგან მხოლოდ ერთია მშობელი. სასურველია სამუშაო ჯგუფი შემადგენლობაში მშობლები მეტად იყვნენ წარმოდგენილი.
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-8 თავის მე-16 მუხლი მოიყვანოს კანონთან შესაბამისობაში (იხ. ინდიკატორის აღწერილობა)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მორგებულია სასკოლო საზოგადოების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. სკოლის მისია და ხედვა ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ დანიშნულებას და გამოკვეთს იმ ძირითად კონცეფციას, რაც აკისრია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. სკოლის მისია არის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მორალურ-ზნეობრივად სრულყოფილი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი იქნება. სკოლის ხედვა კი წარმოადგენს მოსწავლის მომზადებას აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, რომელიც უწყვეტი განათლებით თავს დაიმკვიდრებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და მოსწავლეებს ეხმარება შეძენილი ცოდნის ცხოვრებაში რეალიზებასა და არსებული პრობლემების გადაჭრაში. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მისიასა და ხედვაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ჯანსაღი და პოზიტური გარემოს შექმნაზე. სკოლის მისიაში წარმოდგენილია, რომ სკოლა არის ურთიერთობის სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს არსებობა, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ხედვაში მკაფიოდ არის ასახული თანამშრომლობრივი კულტურისა და თითოეული მოსწავლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება N2-103) დამტკიცებულია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და ჩატარდა სასკოლო საზოგადოების კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა. მათგან მიღებული უკუკავშირით გათვალისწინებული იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სურვილები და შეხედულებები, რაც დასტურდება მტკიცებულებებით (მასწავლებელთა შეხვედრის ფოტო-მასალა; მშობელთა კრების ოქმი N1), რის შემდეგაც დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს (სამეურვეო საბჭოს ოქმი N9). **რჩევა:** სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი შედგება 16 წევრისგან, რომელთაგან მხოლოდ ერთია მშობელი. სასურველია სამუშაო ჯგუფი შემადგენლობაში მშობლები მეტად იყვნენ წარმოდგენილი. პირველადი ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რჩევა, რომ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ სამუშაო ჯგუფს ჰქონდეს საკმარისი დრო, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული პირების ჩართულობა და სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და ჯგუფს სამუშაოდ განუსაზღვრა გონივრული ვადა, დაახლოებით სამი თვე (სკოლის სტრატეგიული განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი N1). ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში (თავი: VI) ასახულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მექანიზმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, შემდეგ კი სასკოლო საზოგადოების მიერ გადაიხედა და გაზიარდა მასწავლებლებთან შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **რჩევა:** სასურველია სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მისია და ხედვა ზუსტად იყოს შინაარსობრივად თანხვედრაში სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილ მისიასა და ხედვასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება „სსიპ-ქალაქ ზუგდიდის N8 საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
სკოლის სტრატეგიული განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი N1;

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9;
მე-8 კლასელთა მშობელთა კრების ოქმი N1;
სტრატეგიული განვითარების გეგმა;
სკოლის სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ფოტო-მასალა;
სკოლაში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებების ამსახველი ფოტო მასალა;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ისე ფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, თუმცა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-8 თავის მე-16 მუხლის თანახმად: ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ“. საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების'' მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორი ვალდებულია, სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სკოლის განვითარების სტრატეგია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. **რჩევა:** სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-8 თავის მე-16 მუხლი მოიყვანოს კანონთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2024-2031 წლების პერიოდს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს, როგორიცაა:

ა) სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

ბ) არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, კლუბების მუშაობის გააქტიურება და ჩართვა სკოლის განვითარების გეგმაში;

გ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

დ) სკოლის პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება, საგრანტო პროექტებში ჩართვა;

ე) ინოვაციური მიდგომების დანერგვა და გამოყენება;

ვ) სასკოლო საზოგადოების ჩართულობა,

ზ) მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

თ) უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე შეიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელიც ორიენტირებულია მისცეს მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და დაეხმაროს მათ საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. პირველადი ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რჩევა, SWOT ანალიზის შემუშავებისას არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს გარემოში უკვე არსებული და

შესაძლო დადებითი და უარყოფითი გავლენის ფაქტორები და მოახდინოს მათ შორის კავშირების იდენტიფიცირება. კერძოდ, სუსტ მხარეებში არ არის იდენტიფიცირებული ის გარემოება, რომ სკოლას არ გააჩნია დახურული სპორტული და სააქტო დარბაზები. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა, სტრატეგიულ გეგმაში შეიტანა ცვლილება და SWOT ანალიზის სუსტ მხარეებში დააფიქსირა სპორტული და სააქტო დარბაზების არქონა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და შემდეგ დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია სტრატეგიული მიზნები და ჩაშლილია ყოველწლიურად შესასრულებელ სამუშაოებად, ასევე გაწერილია ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანების შესრულებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობების ჩამონათვალს და ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, თუ რა პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სამეურვეო საბჭოს ოქმი
ვებგვერდი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია არაგეგმიური მონიტორინგი, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიშები და მტკიცებულებები მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ. მიღებული ინფორმაცია გასაანალიზებლად წარედგინება სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს, რომელიც შემდეგ ეგზავნება სკოლის დირექტორს და სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. საჯაროობის უზრუნველყოფისათვის კი ანგარიშები უნდა განთავსდეს ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. ასევე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულებები შეიცავს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას, შესაბამისად **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშე(ბ)ი, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე, ასევე გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფა. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებული ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ყოველი წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის

დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები სკოლას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემებისა შესახებ, რომელსაც შემდეგში სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 11/05/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: